# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 8 22 0000102295

02/02/2022

**„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის №22111 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის №22111 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით:

"1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.”

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 02 თებერვლის №101436 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ